საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ გიორგი მღებრიშვილს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ
„შემოსავლების სამსახურის“ უფროსს

ბატონ გიორგი თაბუაშვილს

რეკომენდაცია

რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

2016 წლის 23 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს მ. ნ-მ, ნ. დ-მ და ჯ ა-მ (შემდგომში განმცხადებლები). მათი განმარტებით, 2016 წლის 9 თებერვალს, დაახლოებით 13 საათზე, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით საზღვრის კვეთისას ისინი გახდნენ პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლნი რელიგიის ნიშნით. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მათ განცხადებით ჰქონდათ მიმართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის (შემდგომში შსს).

სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოების ფარგლებში განმცხადებლების ინტერესებს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC). განმცხადებლებსა და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციას გაცნობისა და, სურვილის შემთხვევაში, დამატებითი მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით გაეგზავნათ სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის ფარგლებში მოპოვებული მასალები.

2016 წლის 17 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მ. ნ-ის დამატებით განცხადება, რომელიც იმავე ფაქტობრივ გარემოებების ეხება. ამ შემთხვევაში მის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ცენტრი (TDI) წარმოადგენს.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოპასუხე შსს-დან, ასევე შსს საზღვრის დაცვის პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის

დეპარტამენტის ბათუმის N1 სამმართველოსა და სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტიდან გამოითხოვა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია და მასალები. საქმესთან დაკავშირებით აგრეთვე გამოიკითხნენ პირები, რომელთა კავშირიც გამოვლინდა განცხადებაში აღწერილ გარემოებებთან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლების განმარტებით, 2016 წლის 1 თებერვალს სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მეშვეობით თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით საქართველოს სამმა მოქალაქემ - ჯ. ა-მ, ნ. დ-მ და მ. ნ-მ გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და საქართველოში 2016 წლის 9 თებერვალს დაბრუნდნენ. სამივე მათგანი აღმსარებლობით მუსლიმია. ჯ. ა. ა-ს რაიონის მეჩეთის ხოჯაა. ნ. დ-მ და მ. ნ-მ თეოლოგიური განათლება თურქეთში მიიღეს, რის გამოც იქ ჰყავთ ბევრი მეგობარი, რომლებსაც პერიოდულად სტუმრობენ. აღნიშნულ შემთხვევაშიც მათი ვიზიტის მიზანი მეგობრების მონახულება იყო. სამივე პირის განცხადებით, პირადი ბიბლიოთეკისათვის თურქეთში შეიძინეს ისლამის შესახებ ლიტერატურა, თითოეულმა 5 ცალი თითო ეგზემპლარი, ხოლო არაბულ ენაზე ყურანი მეგობრებმა აჩუქეს.

EMC-სთვის მიცემულ ახსნა განმარტებაში, ზემოხსენებული პირები აღნიშნავენ, რომ 2016 წლის 9 თებერვალს, დაახლოებით 13:00 საათზე, ისინი სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით ბრუნდებოდნენ თურქეთის რესპუბლიკიდან. საზღვრის კვეთის პროცედურისას, მათ რელიგიური შეხედულებების იდენტიფიცირების შემდეგ, ისინი დააყოვნეს და დაუსვეს დამატებით კითხვები. ნ. დ-ს განმარტებით, როდესაც მესაზღვრემ მისი პირადი მონაცემები შეიყვანა ბაზაში, მასთან მივიდა პოლიციის ფორმიანი ორი პირი და სთხოვა გაყოლოდა სხვა ოთახში, სადაც გაესაუბრებოდნენ. კაბინეტში შსს-ს თანამშრომელმა (რომელიც, მისი განცხადებით, წარუდგა, როგორც მ. თ.) მას დაუსვა კითხვები მის სარწმუნოებასთან, საქმიანობასთან, წიგნების შინაარსთან და თურქეთის სასწავლებლებში მოხვედრასთან დაკავშირებით. გარკვეული დროის შემდეგ, ნ. დ. კვლავ დაუბრუნდა საპასპორტო კონტროლის არეალს, სადაც ჩანთიდან ამოალაგებინეს წიგნები, ფოტო გადაუღეს და სთხოვეს დალოდებოდნენ.

ნ. დ. განმარტავს, რომ მას სთხოვეს დალოდება. იგი დაახლოებით ორი საათი იჯდა მაგიდასთან, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევდა. მისი იქ ყოფნის დროს, მივიდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ჩანთაში ედო მარტინ ლინგსის ქართულ ენაზე ნათარგმნი წიგნი „ცხოვრება მუჰამედისა“, 3 ეგზემპლარი. მებაჟეებმა მას მკაცრად ჰკითხეს, თუ საიდან მოჰქონდა ეს წიგნი. მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ ამ პირს წიგნები ქემალფაშაში აჩუქეს და გამოატანეს, პოლიციელებმა ჰკითხეს - „ბომბი რომ გამოგატანონ ისიც უნდა წამოიღო?“ ნ. დ-ის განმარტებით, ამ პიროვნებას წიგნები სახელმწიფო საკუთრებაში გადააცემინეს, რაზეც შეადგინეს შესაბამისი ოქმი და ხელი მოაწერინეს. საბოლოოდ, დაახლოებით ორი საათის

ლოდინის შემდეგ, ნ. დ-ის კითხვაზე, თუ რატომ ალოდინებდნენ ამდენი ხნის განმავლობაში, სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თანამშრომელმა განუმარტა, რომ წიგნების ფოტოები თბილისში იყო გადაგზავნილი და შესაბამისი მითითებას ელოდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მან გადაწყვიტა დაკავშირებოდა უფლებადამცველ ორგანიზაციებს, პოლიციელებმა მიიღეს მისი გაშვების გადაწყვეტილება და წიგნებიც თან გამოატანეს. ნ. დ. აღნიშნავს, რომ ორი წლის განმავლობაში, იგი არაერთხელ დამდგარა მსგავსი პრობლემის წინაშე.

მ. ნ-ის განმარტებით, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საპასპორტო კონტროლის გავლისას, სკანერზე ნივთების შემოწმებისას, კონტროლის განმახორციელებელი პირები დაინტერესდნენ თუ რა ნივთები ედო მას ჩანთაში. ჩანთიდან ისლამის შესახებ რელიგიური ლიტერატურის ამოღების შემდეგ, წიგნებს ფოტოები გადაუღეს და განუცხადეს, რომ ისინი უნდა ჩამოერთმიათ. მას შემდეგ, რაც მ. ნ-მ მოითხოვა განმარტება განსახორციელებელი პროცედურის შესახებ, მას მოუტანეს ცარიელი ტომარა და განუცხადეს, რომ წიგნებს შეინახავდნენ იქამდე, სანამ მუფტისგან ხელწერილს არ მოიტანდა. როდესაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ აპირებდა სახალხო დამცველთან და სხვა უფლებადამცველ პირებთან დაკავშირებას, იგი გამოუშვეს და წიგნებიც გამოატანეს. მთლიანობაში, იგი ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში დააყოვნეს საბაჟოზე. ამ დროს მ. ნ-სთან ერთად იმყოფებოდა **ჯ. ა-ც,** რომელიც ჯამში 40 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში დააყოვნეს საზღვარზე, სანამ ზემდგომი პირებისგან მისი გაშვების ნებართვას მიიღებდნენ.

EMC-სთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, მ. ნ. ასევე აღნიშნავს, რომ სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე თითქმის ყველა გადაკვეთა-გადმოკვეთის დროს მას აყოვნებენ საზღვარზე. ხშირად, პასპორტის მიწოდებისას, საბაჟოს თანამშრომლები ეუბნებიან, რომ პროგრამის მუშაობაში ხარვეზია და სთხოვენ დალოდებას, თუმცა ამავე პერიოდში, სხვა პირებს უპრობლემოდ ატარებენ საზღვარზე. მას საათობით უწევს ლოდინი, ვიდრე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ზემდგომი პირებისგან არ მიიღებენ მითითებას მისი გაშვების შესახებ. იგივე პრობლემაზე საუბრობენ **ა. ნ., ჯ. ა., ტ. ნ. და ნ. დ.** მ. ნ-ემ ასევე გაიხსენა ერთი ფაქტი, როდესაც არ მისცეს 80 გვერდიანი წიგნის შემოტანის უფლება იმ მიზეზით, რომ იგი ბროშურად ითვლებოდა და კანონის მიხედვით, ექვემდებარებოდა განბაჟებას (ექსპერტმა დაასკვნა, რომ იგი იყო ბროშურა და განბაჟებასთან ერთად ექსპერტიზის ფულიც გადაახდევინეს). ამასთან, მისი განცხადებით, პრობლემები ექმნებათ რელიგიური (მუსლიმური) ატრიბუტიკის გადმოტანაზე. მის ერთ-ერთ ნაცნობს არ შემოატანინეს ხოჯას ტანსაცმელი, ხოლო თავსაფრებისა და სხვა რელიგიური ნივთების შემოტანისას, მას გადაახდევინეს განბაჟების საფასურის სამმაგი ოდენობა. მისი განმარტებით, ის და განცხადებაში მოხსენიებული სხვა პირები, აქტიურად არიან ჩართულნი რელიგიურ საქმიანობაში, რაც გამოიხატება მეჩეთების მხარდაჭერასა და მათი მშენებლობის აქტიურ ადვოკატირებაში. მას მიაჩნია, რომ სწორედ აღნიშნულ გარემოებებს უკავშირდება უსაფრთხოების სამსახურებისგან მისი ახლობლების მეშვეობით გაფრთხილებების გაგზავნა,

რომ აღარ გააგრძელონ რელიგიური საქმიანობა. ამასთან, მას, იგივე მიზნით, ხშირად ურეკავენ ფარული ნომრებიდან.

ნ. დ-ის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკიდან სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, ისიც ხშირად გადაჰყავთ არაფორმალურ დაკითხვაზე, სადაც ეკითხებიან, თუ რატომ ატარებს წვერს, ხშირად ლოცულობს, თუ არა, დადის თუ არა მეჩეთში, ასევე ინტერესდებიან მის სარწმუნოებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებებით. ამასთან, მას ჩხრეკენ და სთხოვენ ტელეფონის გახსნას და მეხსიერების ბარათის შემოწმებას.

ტ. ნ-ის განცხადებით, ვინაიდან იგი არის ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე, მის მიმართ ისეთივე დიდი მასშტაბის დაყოვნებებს და პრობლემებს არ აქვს ადგილი, როგორის სხვა მუსლიმების შემთხვევაში. პირადად მას არ შექმნია პრობლემები წიგნების გადატანაზე, თუმცა საზღვრის კვეთისას დაყოვნებას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ მუსლიმ თემს განსაკუთრებული სიმკაცრით, გულდასმით ამოწმებენ, რაც განპირობებულია მათი რელიგიით, ვინაიდან, სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები მათ საფრთხის შემცველ პირებად მიიჩნევენ. მისი განმარტებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მუსლიმი ქალებისთვის მოუთხოვიათ თავსაბურავის მოხსნა, ასევე, სქესის განურჩევლად ყველა მუსლიმს უსვამენ შეურაცხმყოფელ კითხვებს.

ა. ნ-ის განმარტებით, მასაც და მის მეუღლესაც ექმნებათ პრობლემები სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით საზღვრის კვეთისას, ძირითადად თურქეთიდან საქართველოში შემოსვლისას. მებაჟეები მათ აყოვნებენ და ხშირ შემთხვევაში სატელეფონო ზარს ელოდებიან ვიდრე გაუშვებენ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქალ მებაჟეებს მისი მეუღლე გაუყვანიათ განცალკევებულ ოთახში და დეტალურად (მათ შორის გაშიშვლება) შეუმოწმებიათ.

საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2016 წლის 25 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, დაფიქსირდა თუ არა მომართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნული ფაქტის შესწავლის თაობაზე; დაიწყო თუ არა საქმის შესწავლა, ასევე, ვის მიმართ და რა საფუძვლით მიმდინარეობს საქმის შესწავლა, რა სახის რეაგირება მოხდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშრებით და ამჟამად რა ეტაპზეა წარმოება.

შსს-ს 2016 წლის 15 და 16 მარტის პასუხებით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ EMC-დან შემოსული წერილები გადაიგზავნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, რომელიც ახორციელებს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე მხოლოდ საპასპორტო-სავიზო კონტროლს. რაც შეეხება წერილში მოყვანილ ფაქტებს, აღნიშნულზე კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფი.

2016 წლის 25 თებერვალს ინფორმაცია ასევე გამოთხოვილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ (შემდგომში შემოსავლების სამსახური) სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტისა და შსს საზღვრის დაცვის პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ბათუმის N1 სამმართველოდან, შემდეგ საკითხებზე:

- სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტში მოქალაქეთა შემოსვლის გასაფორმებელ საბაჟო კონტროლის ზონაში დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერები 2016 წლის 1 თებერვლის 10 საათიდან 15 საათამდე და 2016 წლის 9 თებერვლის 11 საათიდან 18 საათამდე პერიოდისთვის;
- მოქალაქეთა მიმართ შემოწმების დამატებითი პროცედურების ჩასატარებელ სივრცეში/ოთახში დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერები ზემოთ მითითებული პერიოდისთვის;
- 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 24 თებერვლის ჩათვლით სარფის საკონტროლო საბაჟო პუნქტის მეშვეობით შემოტანილ ნივთთა ნებაყოფლობით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ასლები.

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის 2016 წლის 10 მარტის წერილით, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მიღებული წერილი სამსახურებრივი ბარათით ქვემდებარეობით გადაიგზავნა შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. საიდანაც, 2016 წლის 16 მარტს, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ახორციელებს მხოლოდ საპასპორტო-სავიზო კონტროლს. რაც შეეხება წერილში მოყვანილ საკითხებს, კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი დანაყოფი.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მარტის წერილით, სახალხო დამცველს მოეწოდა გამოთხოვილი მასალები, მათ შორის, მითითებული პერიოდის კამერის ჩანაწერები და სახელმწიფოსთვის ნებაყოფლობით გადაცემული საქონლის ნუსხა თანდართული ადმინისტრაციული მასალებით.

შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ მითითებულ პერიოდში სახელმწიფოსთვის სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ნებაყოფლობით გადაცემული ნივთების ნუსხა მრავალფეროვანია, რომელიც ძირითადად შეიცავს თამბაქოს, ალკოჰოლური ნაწარმს, ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, და ტანსაცმელს. სახელმწიფოსთვის **ნებაყოფლობით** გადაცემული საქონლის ნუსხაში საქონლის ნუსხაში ძალიან მცირე ადგილს იკავებს ლიტერატურა. მისი გადაცემის სულ შვიდი ფაქტი დაფიქსირდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ შვიდივე შემთხვევაში გადაცემული საქონელი არის ისლამის შესახებ

ლიტერატურა, მათ შორის ყურანი. მითითებული ნუსხა, ქრონოლოგიურად და რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

- **09/02/2016: მარტინ ლინგსის „ცხოვრება მუჰამედისა“ – 3 ცალი;**
- **14/02/2016: „Muxtasar Elmihal“ და სხვ - 13 ცალი;**
- **14/02/2016: „ისლამი“ და სხვ. – 33 ცალი;**
- **14/02/2016: “Kur’an” – 18 ცალი;**
- **27/05/2016: „წმინდა წიგნი ყურანის თარგმანი“ – 1 ცალი;**
- **22/09/2016: „ნამაზის წიგნი“ - 40 ცალი;**
- **01/10/2016: “Kur’an Alfabesi” და სხვ. – 35 ცალი.**

აღნიშნულ ინფორმაციას ასევე ერთვოდა იმ პირთა სია, რომლებმაც სახელმწიფოს ნებაყოფლობით გადასცეს მითითებული წიგნები. სახალხო დამცველის აპარატმა მოიძია აღნიშნული პირების საკონტაქტო ინფორმაცია და გამოკითხა ისინი.

2016 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, **ა. ო-მა** აღნიშნა, რომ დაახლოებით 2016 წლის 14 თებერვალს (რიცხვი ზუსტად არ ახსოვს, თუმცა თვე და წელი დანამდვილებით გაიხსენა) თავის ორ მეგობართან (სამივე მათგანი მუსლიმია) ერთად თურქეთის რესპუბლიკიდან ბრუნდებოდა საქართველოში სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. მას საქართველოში შემოჰქონდა დაახლოებით 18 წიგნი, რომელთა შორისაც იყო 2-3 ყურანი და ისლამის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურა, რომელთაგანაც 3 იყო ქართულ ენაზე, ხოლო დანარჩენი - თურქულ ენაზე. მის თანხმლებ პირებსაც იგივე რაოდენობის და მახასიათებლების მქონე ლიტერატურა ჰქონდათ თან. საპასპორტო კონტროლის გავლისას, წიგნების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, საბაჟოს თანამშრომლებმა ისინი გაიყვანეს სხვა ადგილზე და განუცხადეს, რომ უნდა დალოდებოდნენ, სანამ გაარკვევდნენ რა სახის ლიტერატურა შემოჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე. შემოწმება მოიცავდა ბათუმში მათ წაყვანას და ექსპერტის მიერ წიგნების შემოწმებას, ამასთან, საჭირო იყო განბაჟების თანხის გადახდა. ვინაიდან მათ აგვიანდებოდათ ავტობუსზე და არც განბაჟებისთვის საჭირო თანხა ჰქონდათ, დათანხმდნენ საბაჟოს თანამშრომლების შეთავაზებაზე, რომ წიგნები ადგილზე დაეტოვებინათ და გაეფორმებინათ სახელმწიფოსთვის ნებაყოფლობით საკუთრებაში გაფორმების აქტი.

2016 წლის 18 ივლისს, სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, **თ. გ-მ** აღნიშნა, რომ დაახლოებით 2016 წლის თებერვალ-მარტში თავის ორ მეგობართან (სამივე მათგანი მუსლიმია) ერთად თურქეთის რესპუბლიკიდან ბრუნდებოდნენ საქართველოში სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. მას შემოჰქონდა ისლამის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურა, ჯამში 10 წიგნი, რომელთაგანაც 5 იყო ქართულ ენაზე, ხოლო დანარჩენი 5 - აზერბაიჯანულ ენაზე. მის თანხმლებ პირებსაც დაახლოებით იგივე რაოდენობის ისლამური ლიტერატურა ჰქონდათ თან. საპასპორტო კონტროლის გავლისას, წიგნების შესახებ კითხვის საპასუხოდ, საბაჟოს თანამშრომლებს მან განუმარტა, რომ წიგნები მოჰქონდა მშობლებისა და

მეგობრებისთვის საჩუქრად გადასაცემად. მას თავისუფლად ატარებდნენ, თუმცა ამ დროს საპასპორტო კონტროლის გასავლელად მოვიდნენ მისი მეგობრები, რომლებსაც მსგავსი ჩანთები ეჭირათ. საბაჟოს თანამშრომლები დაინტერესდნენ, ერთად იყო თუ არა აღნიშნული სამი პიროვნება. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სამივე მათგანი წაიყვანეს ე.წ. მოსაცდელ ოთახში, სადაც მათ მოსთხოვეს ბარგის ამოლაგება. ამ შემთხვევაში, მებაჟეების ტონი იყო შესამჩნევად უხეში: „რომ გელაპარაკები დროზე ამოალაგე რა გაქვთ მანდ." თ. გ-ს განუცხადეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით ისლამური ლიტერატურის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა იკრძალება და თუ არ უნდოდათ 1000 ლარიანი ჯარიმა გადაეხადათ, ნებაყოფლობით უნდა ჩაებარებინათ წიგნები. აღნიშნული მუქარის შემდეგ, ისინი დაემორჩილნენ საბაჟოს თანამშრომლების მოთხოვნას და „ნებაყოფლობით" ჩააბარეს მითითებული ლიტერატურა.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ვიდეო მასალაში ასევე მოხდა ჯ. ა-ის იდენტიფიცირება, რომელსაც ვიდეო მასალაზე მითითებული დროის მიხედვით, 2016 წლის 1 თებერვალს 13:33 წუთიდან 14:06 წუთამდე აყოვნებენ, სხვა პირები კი შეფერხების გარეშე გადიან საპასპორტო კონტროლს.

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება აღიარებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს პირთა დისკრიმინაციას სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიის, ნიშნით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლიც იზიარებს მსგავს სულისკვეთებას და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონთან ერთად ქმნის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ მექანიზმს.

საქართველოს კონსტიტუციის მე–14 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა". კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს

როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[1] ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია. იგივე პრინციპი გამომდინარეობსადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[2]

2.1 კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლით სარგებლობაშიც შესაძლოა ხელი შეეშალა განმცხადებლებს

როგორც სახალხო დამცველის ხელთ არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კვეთისას, სავიზო-საპასპორტო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან, დაბრკოლებები ექმნებათ მუსლიმ პირებს - მათ აყოვნებენ და ეკითხებიან მათი გარეგნობის, რელიგიური აღმსარებლობისა და ცხოვრების წესის შესახებ. ამასთან, ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ ნებაყოფლობით დათმონ თავიანთ საკუთრებაში არსებული რელიგიური ლიტერატურა.

ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, როგორც რელიგიის თავისუფლებასა და გადაადგილების თავისუფლებაში, ისე საკუთრების უფლებაში ჩარევას.

რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიზანია აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების როგორც *forum internum,* ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი ხელშეუხებლობის გარანტია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *forum internum* ორ ასპექტს მოიცავს - აზრის, სიტყვის,

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

[2] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, (ECtHR, 15/01/2013), §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, application no: 13378/05, (ECtHR, 29/04/2008), § 60

სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის ქონას და მათ გამოხატვას კერძო წრეში. მე-19 გარანტირებულ უფლებას კონსტიტუცია იმ კატეგორიას განაკუთვნებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია სახელმწიფო უშიშროების, უსაფრთხოების თუ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიზნების მისაღწევად. ამავედ როს, მე-19 მუხლის შეზღუდვის ერთადერთ საფუძველს სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებული იმით, რომ ეს მუხლი იცავს ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ანდა უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. არავის შეუძლია და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანის, მიიღოს ან შეიცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანის ასევე დაცულია იძულებისგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის ავტონომიურ საფუძველს ქმნის.[3]

განმცხადებლები და ასევე, სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ გამოკითხული სხვა პირები მიუთითებენ, რომ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას, შსს-ს და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მათ მიმართავენ პირადი ხასიათის კითხვებით მათ რელიგიური ცხოვრების წესის, გარეგნობის თუ სასულიერო განათლების მიღების შესახებ. ამასთან, ისინი იძულებულნი ხდებიან, რომ საზღვარზე დათმონ რელიგიური ლიტერატურა, რომელიც მათ საქართველოში შემოაქვთ, მცირე რაოდენობით, პირადი მოხმარების თუ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის გავრცელების მიზნით. შესაბამისად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულ რწმენის თავისუფლებაში ჩარევას.

საკუთრების უფლებაში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების ცნება ავტონომიური შინაარსისაა და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით, ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს შესაძლოა განხილული იყოს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე.[4] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ჩარევისგან, არამედ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას განახორციელოს

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.9-11

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის №1/5/489-498 გადაწყვეტილება, II, პ.2

აქტიური პოზიტიური მოქმედებები საკუთრების უფლების შინაარსის რეალური გამოვლინებისათვის; საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლისას სახელმწიფომ უნდა დაამყაროს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ზოგადი ინტერესებით განპირობებულ მოთხოვნებსა და ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას შორის.[6]

საქართველოს კანონის, „საქართველოს საბაჟო კოდექსის" მე-6 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, ყველა პირს თანაბარ საფუძველზე აქვს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

როგორც სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალებიდან იკვეთება, რელიგიურ ლიტერატურაზე საკუთრების უფლების ნებაყოფლობითი დათმობა, ძირითად შემთხვევებში, ხორციელდებოდა საბაჟო-გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი პირების მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლისა და არ არსებული ჯარიმების დაკისრების შიშით, აგრეთვე პირადი ხასიათის შეკითხვების დასმით. ამ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ განმცხადებლებს, და სხვა პირებს, ვინც ფაქტობრივად ნებაყოფლობით საკუთრებაში გადასცა სახელმწიფოს წიგნები, მოქმედებდნენ მათი რეალური სურვილის საწინააღმდეგოდ, რაც გამოწვეული იყო მათ მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებებით.

გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და კონსტიტუცია ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ მკაცრად გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობისას. აგრეთვე, კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი, ქვეყანა.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/5/224, I, 4
[6] ECtHR, The Holy Monasteries v. Greece, nos: 13092/87 and 13984/889/12/1994, §70

დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება მოიცავს საქართველოში კანონიერად ყოფნის შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს კანონის დაცვით საქართველოს დატოვების უფლებას. კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოში კანონიერად მყოფი ყველა პირისთვის ქვეყნის დატოვების უფლებას. ეს უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მფარველობაში მყოფ ნებისმიერ პირზე.[7] ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი იცავს თითოეული ადამიანის უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა და წავიდეს მის მიერ არჩეულ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მას შესვლის უფლება აქვს.[8]

როგორც გამოკვლეული მასალებიდან იკვეთება, განმცხადებლებსა და სხვა გამოკითხულ პირებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, დამატებითი კითხვების დასმის მიზნით, საათობით აყოვნებდნენ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე. მათ არ ეძლეოდათ ქვეყნის ტერიტორიაზე შეფერხების გარეშე შემოსვლისა და გასვლის უფლება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევებში, მათ არ განუმარტავენ დაყოვნების მიზეზებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **მოხდა განმცხადებელთა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა მათი მიმოსვლის თავისუფლების და საკუთრების უფლებების შეზღუდვის გზით.**

3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, საბაჟო კონტროლის გავლის თვალსაზრისით, ანალოგიურ მდგომარეობაშია ყველა ის პირი, რომელიც დაყოვნების, დამატებითი კითხვებისა და რელიგიურ ლიტერატურაზე ნებაყოფლობით საკუთრების უფლების დათმობის შეთავაზების გარეშე გაიარა საპასპორტო კონტროლი.

---

[7] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 546. იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

[8] ECtHR, *Stamose v. Bulgaria*, no. 29713/05, 27/11/2012, § 30

აქედან გამომდინარე, განმცხადებლები არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან ყველა იმ პირთან მიმართებით, ვინც არ არის ისლამის მიმდევარი, შესაბამისად, პირთა დიფერენცირება ხდება რელიგიის ნიშნით.

4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ასევე, ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[9] უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.[10]

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია უფლების *forum internum* ნაწილი, რომელიც მოიცავს ორ ასპექტს - აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის ქონას და მათ გამოხატვას კერძო წრეში. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თუ პირველ შემთხვევაში *forum internum* აბსოლუტურია, მეორე შემთხვევაში იგი სხვათა უფლებების მოტივით შეიძლება შეიზღუდოს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს. მაგალითად, კერძო წრეში, ოჯახში აზრის ან რწმენის გამოვლინება რეგულირებას არ ექვემდებარება, ვინაიდან არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც კერძო პირებს შორის, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში ჩარევას გაამართლებდა, გარდა გამონაკლისისა, როდესაც აზრის ან რწმენის გამოვლინება ამ ურთიერთობების მონაწილის უფლებას ლახავს.[11]

საქმეში არსებული ფაქტობრივი მასალებით არ იკვეთება, თუ რა სახის სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს ადამიანის შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ნიშნით მოქალაქეთა გამორჩევა და მათთვის, ინდივიდუალური შეფასების

---

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება #3/1/531, II, 15

[10]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 23

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.11

გარეშე, რელიგიის, მიმოსვლის და საკუთრების უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა მათი რელიგიის გამო.

საზღვრის დაცვა და კონტროლი, როგორც წესი, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, თუმცა, აღნიშნული ამოცანის მიღწევის სანაცვლოდ არ უნდა მოხდეს ადამიანის ძირითად უფლებებში იმგვარი ჩარევა, რომელიც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება არ არის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც უფლების შეზღუდვა მხოლოდ ადამიანის რელიგიური კუთვნილებით არის განპირობებული.

როგორც სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალებიდან იკვეთება, განმცხადებლები და სხვა პირები, რომლებიც სარფის საბაჟო პუნქტთან შეაყოვნეს, მსგავს ვითარებაში იმყოფებოდნენ. კერძოდ, რელიგიური ლიტერატურისა და ატრიბუტიკის შემოტანის შეზღუდვის მიზნით, ყველა მათგანის მიმართ იქნა გამოყენებული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითად, საბაჟო გადასახადის გაზრდა, მუფტის წერილობითი თანხმობის მოთხოვნა. ამასთან, სხვა პირებთან შედარებით, ყველა მათგანის მიმართ გამოყენებულ იქნა შემოწმების ხანგრძლივი პერიოდი, რა დროსაც მათ უსვამდნენ პირადი ხასიათის კითხვებს გარეგნობის, წარსულისა და თურქეთში კავშირების შესახებ.

სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლებისა და სხვა გამოკითხული პირების საზღვრის კვეთისას დაყოვნება, რელიგიური ატრიბუტიკისა თუ ნივთების შემოტანაზე შექმნილი დაბრკოლებები, ემსახურება მათში რელიგიური აქტივობის დათრგუნვას, რასაც მომავალში შესაძლოა გამყინავი ეფექტი ჰქონდეს საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის უფლებების გაუმჯობესებისკენ სწრაფვაზე. ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადვილად შესაძლებელია უმეტესი ლიტერატურის, მათ შორის, რელიგიური შინაარსის მქონე ტექსტების ელექტრონული ვერსიის მოძიება და გავრცელება. ამ ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ლიტერატურის შემოტანის აკრძალვა სცილდება ლეგიტიმურობის საფარველიდან და იძენს ბუნდოვან, დისკრიმინაციული პრაქტიკის წამახალისებელ სახეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალმა უფლებამოსილმა ორგანომ და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა, მ. ნ-ის, ნ. დ-ისა და ჯ. ა-ის საზღვარზე უსაფუძვლო დაყოვნებით, რელიგიური ლიტერატურის შემოტანის შეზღუდვით, მათ მიმართ განახორციელა პირდაპირი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „შემოსავლების სამსახურის“:

- საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და ინდივიდუალურ საფუძველზე განახორციელოს შემომსვლელ და გამსვლელ პირთა საპასპორტო-სავიზო კონტროლი და თანმდევი საბაჟო პროცედურები;
- რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის პრინციპის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეტაპობრივად გადამზადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საპასპორტო-სავიზო კონტროლს და თანმდევ საბაჟო პროცედურებს.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,